ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1632881

ნომერი: AR1270351

თარიღი : 03.12.2014

გაცემის თარიღი : 09.12.2014

გაცნობის თარიღი : 09.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 20 , (ნაკვ. 02/035) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნეფარიძე პ/ნ 01012025077
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 8 ბ. 63

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან გაჩერების ჯიხური მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შემდგომ მოყვა შ.პ.ს „ემეს მოტორსი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ხოლო ამჟამად ითხოვთ მის დემონტაჟს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულის დემონტაჟზე წერილობითი თანხმობის გაცემა შესაძლებელი იქნება მას შემდეგს, რაც წარმოდგენილი იქნება იმ სამსახურის/ორგანიზაციის თანხმობა მის დემონტაჟთან დაკავშირებით, ვის ბალანსზეც ირიცხება/ირიცხებოდა ზემოაღნიშნული გაჩერების ჯიხური.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ I კლასის მახასიათებლებია: 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა. იმის დასადგენად, თუ რომელი კლასის ობიექტს წარმოადგენს სადემონტაჟო ნაგებობა საჭიროა „.არსებული სიტუაციის ფოტოსურათების“ ველში ატვირთულ ფოტოსურათზე მიეთითოს ჯიხურის გაბარიტული ზომები (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე).

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.